საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-322

18/05/2023

ქ. თბილისი

,,ქ. რუსთავში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენების დამუშავების საწარმოს (დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსება, ნარჩენების აღდგენა, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; სახიფათო ნარჩენების განთავსება და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-385 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქ. რუსთავში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენების დამუშავების საწარმოს (დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსება, ნარჩენების აღდგენა, სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; სახიფათო ნარჩენების განთავსება და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავება) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-385 ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „რუსთავის ფოლადს“.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ბრძანების გაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი